ვინ იტყვის დღეს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ახალი კონტინგენტის შეგროვებისას დარღვევები იყოს? უმაღლეს სასწავლებლთა კოლექტივებმა ყველაფერი იღონეს, რომ მისაღები გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში მაღალ ორგანიზაციულ და ღიაურ დონეზე ტარდებოდეს, რომ მომავალ სპეციალისტთა პროფორიენტაციისათვის მიდრეკილებას, მისწრაფებას ემთხვეოდეს.

მაგრამ გულუბრყვილო იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ უკვე ყველაფერი გაკეთდა და შეგვიძლია განცხრომას მივეცეთ. არა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ფუნქციონერ ჩინებულ, დიდად ერუდირებულ სპეციალისტებს, რესპუბლიკის მეცნიერთა კადრებს ღირსეულ შევსებას, რომელიც შეძლ

კომუნისტური შრომის ახალი გამარჯვებებისაკენ!

(დასასრული).

ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის“ მეჩაიეებმა 1976 წელს პროდუქციის ხარისხითა და მოსავლიანობით 1980 წლის მიჯნებს მიაღწიეს. 1977 სამეურნეო წელს კოლმეურნეობის მშრომელები აპირებენ გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდონ სახელმწიფოს 400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მოკრიფონ თვითეულ ჰექტარზე 8.000 კილოგრამი ჩაი და პირველი ხარისხის ფოთლის ხვედრითი წონა 80 პროცენტამდე აიყვანონ.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის პასუხად პირობას ვდებთ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ მიმდინარე 1977 წელს, რათა მტკიცე საფუძველი შევუქმნათ მთელი მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებებისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებას.

საბჭოთა კავშირის მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორმა **გ. ვ. მინდელმა** თქვა, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის მიერ მიღწეულ წარმატებებში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითმა თანამეგობრობამ. წარმოების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად გეგმავენ და ნერგავენ ახალ ტექნიკას სამრეწველო საწარმოები, როგორ უსადაგებენ თავიანთ გეგმებს მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს. მან თქვა, რომ ამ საქმეში არსებული შესაძლებლობანი ჯერ კიდევ ვერ გამოიყენება სრულად. მაგალითად, 1976 წელს რესპუბლიკაში პროგრესული ტექნოლოგიის ათვისების, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის გეგმა შხოლოდ 90 პროცენტით შესრულდა.

ორატორმა ილაპარაკა მისი ინსტიტუტისა და თბილისის ქარხანა „მიკროძრავას“ თანამშრომლობის გამოცდილებაზე, რომელმაც ერთად იკისრეს „სოციალისტური ვალდებულებები, თქვა, რომ აუცილებელია წარმოების მუშაკებთან თანამეგობრობის გრძელვადიანი დაგეგმვა.

იმის გამო, რომ მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის უპირატესი ზრდა, ორატორმა დასვა ელექტრომანქანათმშენებლობის ტექნოლოგიური ბაზების მოწესრიგების, აგრეთვე თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციით სამრეწველო საწარმოთა უკეთ უზრუნველყოფის საკითხი. მან აღნიშნა, რომ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბრძოლას ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვების მკვეთრად გადიდებისა და წარმოებიდან მეორე კატეგორიის ნაკეთობათა მთლიანად მოხსნისათვის.

ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაკთა 70 პროცენტი ქალია, თქვა ამ საწარმოს დირექტორმა **მ. ლ. მდივანმა**, და სწორედ მათ მიაღწიეს წარმატებებს, რომელთა მეოხებით ფაბრიკამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელი დროშა დაიმსახურა.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის დიდი ზეიმია, და ჩვენ ვამაყობთ, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის წარმატებებს ჩვენც შევმატეთ გარკვეული წვლილი. ფაბრიკაში მკაცრად ვიცავთ ფრინველის სუქების ტექნოლოგიას, რეკონსტრუირებულია საამქროები, შეიცვალა მოწყობილობა. ყველა ეს სამუშაო მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზეა შესრულებული. დიდი ყურადღება ეთმობა მუშათა სწორ მორალურ და მატერიალურ სტიმულირებას, გაუმჯობესდა მათი ცხოვრების პირობები. კერძოდ, საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლი, საბავშვო ბაგა-ბაღი, შენდება მაღაზია, სკოლა, გამოჰყავთ ბუნებრივი გაზი. ახლა ჩვენს მუშა ქალებს ღარ აფიქრებთ შინ დარჩენილი ბავშვების ბედი, ეს კი კოლექტივში გარკვეულ კლიმატს ქმნის. ფაბრიკის ღირსება მთელი კოლექტივის, თვითეული მისი ცალკეული წევრის ღვიძლ საქმედ იქცა.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა გარდაბნის რაიონის მშრომელთა წარმატებებზე, რომლებმაც შარშან 57 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ბოსტნეული მოიწიეს. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, კვერცხის, რძის, კარტოფილისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები. რაიონი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდა.

გარდაბნის რაიონის ყველა მშრომელის სახელით ამხ. მდივანმა განაცხადა, რომ ისინი კიდევ უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას და წარმატებით გადაწყვეტენ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშეა დასახული როგორც 1977 წელს, ისე მთელ ხუთწლედში.

დღეს, თქვა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **თ. ე. აბულაძემ**, ყოველი ჩვენგანის გულს სიამაყის გრძნობა ავსებს იმ სახელოვანი საქმეებისათვის, რომლებსაც დიდი შეფასება ხვდა და ამ გამარჯვების აღნიშვნის საშუალება მოგვცა.

ეს მით უმეტეს სასიხარულოა, რომ ახლო წარსულში ჩვენს რესპუბლიკაში ისეთი ატმოსფერო სუფევდა, რომელიც სრულიადაც არ უწყობდა ხელს ჩვენს ზრდას, და სამწუხარო დღი დასვა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს.

ბევრი რამ შეიცვალა ბოლო ხანს რესპუბლიკაში. და ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი, ჩემი აზრით, ის არის, რომ პატიოსან მშრომელს საშუალება მიეცა ებრძოლს და დაამარცხოს ბოროტება.

ახლა მთელი ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი ხალხი პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის იბრძვის, ჩვენ, კინემატოგრაფისტებმა, პატიოსნად უნდა ვაღიაროთ, რომ ხარისხის საქმე ჩვენთან ყოველთვის კარგად ვერ არის. თუმცა დღეს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პროდუქციას მთელ მსოფლიოში იცნობენ და ბევრი ქართული ფილმი უდიდესი მსოფლიო ფესტივალების პრემიებითაც კი დაჯილდოდდა, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი სახელოვანი დროის ნამდვილი მემატიანენი ვიყოთ, კინოლენტებით უკვდავყოთ საბჭოთა ადამიანების საგმირო საქმეები, იმათი საგმირო საქმეები, ვინც დღეს ამ დარბაზში ზის, ვინც ჩვენ დღევანდელი სიხარული მოგვანიჭა.

საქართველოს მშრომელთა ბოლო წლების მიღწევები ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მოსახლეობის პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლებაში, პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების დამკვიდრებაში, თქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა **დ. გ. სტურუამ**, იმ დაუცხრომელი, მიზანმიმართული და თანამიმდევრული ბრძოლის შედეგია, რომელსაც საქართველოს კომპარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ეწევიან პარტიის XXIV და XXV ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, აგრეთვე თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 და 1976 წლების ცნობილ დადგენილებათა შესასრულებლად.

ჩვენი დღევანდელი მიღწევები, თქვა შემდეგ ორატორმა, საამედო და მკვიდრ პლაცდარმად, რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ახალი მძლავრი აღმავლობის წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ. ამას მოითხოვს ჩვენგან პარტიის XXV ყრილობა, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

საქართველოს მშრომელთა წარმატებებში ოვიანთო შრომითი წვლილი მიუძღვით იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებსაც, რომლებმაც იდეოლოგიურად უზრუნველყვეს საქართველოს კომპარტიის ყველა უმნიშვნელოვანესი ღონისძიება.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა ამაზე, რომ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა უნდა ამხილონ კომუნიზმზე, საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებზე ბურჟუაზიული ცილისწამება. პარტია მოითხოვს აქტიურად ვებრძოლოთ, დასაბუთებულად გავაკრიტიკოთ ანტიკომუნისტები, ბურჟუაზიული იდეოლოგები. უნდა გავაძლიეროთ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პროპაგანდა, დავიცვათ მშრომელები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამრყვნელი გავლენისაგან.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს, თქვა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. ა. გოჭსაძემ**, კანონიერი სიამაყის გრძნობას აღუძრავს ის დიდი ჯილდო, რომელიც საქართველოს სსრ რესპუბლიკას მიენიჭა. ჩვენ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საქართველოს სახელოვანი მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის შრომის ასეთი დაფასებისათვის.

ეს ჯილდო გვავალებს უკეთ, უფრო ეფექტიანად და დაძაბულად ვიმუშაოთ. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ შევასრულოთ კომუნისტური მშენებლობის ის პროგრამა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს დაუსახა სკკპ XXV ყრილობამ, შევძლებთ ხორცი შევასხათ იმ ამოცანებს, რომლებიც საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ.

ამხ. გოჭსაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა ხუთწლედის პირველ წელს, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დარგში, შეეხო ამოცანებს, რომლებიც ჩვენმა მშრომელებმა უნდა გადაწყვიტონ წლევანდელ საიუბილეო წელს. მან თქვა, რომ კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს კომუნისტების ავანგარდული როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, განვითარდეს მასების შემოქმედებითი ინიციატივა, განმტკიცდეს დისციპლინა და თვითდისციპლინა, გაიზარდოს პინდობილი საქმისათვის თვითეულის პასუხისმგებლობა.

დასასრულ ორატორმა აღუთქვა შეკრებილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ წითელწყაროელები არ დაზოგავენ ძალღონესა და ენერგიას, რათა ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

ახლანდელ დღესასწაულს, თქვა მწერალმა **გ. ლ. ასათიანმა**, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელ ხანს ჩვენმა რესპუბლიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია, რომლებიც დღეს სიამაყით ავსებს ყოველი ჩვენგანის გულს.

ჩვენ, ქართველ მწერლებს, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ყველაფერი ვიღონოთ, რომ ჩვენი ხალხი აღმშენებლობის იმ მაღალი იდეალების შესაფერისი მჩქეფარე სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდეს, რომლებსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით.

დღეს ქართველი საბჭოთა ლიტერატორები მშრომელი ხალხის შუაგულში ტრიალებენ. ქარხნებსა და ფაბრიკებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეხვედრები მოწმობს, რომ ქართული ლიტერატურა მთლიანად მშობელ ხალხს ემსახურება, მის ფიქრებს, მისწრაფებებსა და აზრებს გამოხატავს.

და მაინც ჩვენ, ქართველი მწერლები, ვალში ვართ ჩვენი ხალხის წინაშე. დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ, რომ ჩვენი წვლილი შეეძლოთ ხალხს კომუნისტური მრწამსის ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საბოლოოდ აღმოვფხვრათ რესპუბლიკის ცხოვრებაში წარსულ ნეგატიურ მოვლენათა შედეგები.

უკანასკნელ ხანს, თქვა ორატორმა, რესპუბლიკაში პარტიული მუშაკის ახალი ტიპი იქმნება. მან ილაპარაკა ერთ მათგანზე — პარტიის აპარის ერთ-ერთი რაიკომის ახალგაზრდა მდივანზე. ეს არის ინტელექტუალურად განვითარებული კაცი, რომელიც ჩინებულად ერკვევა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ნამდვილი პატრიოტი, იგი ყოველთვის იქ არის, სადაც ხალხს სჭირდება.

ჩვენ, ქართველი ლიტერატორები, მხარში უნდა ვედგეთ ასეთ ხელძღვანელებს.

თვითეული ჩვენგანისათვის ამ საზეიმო და სასიხარულო დღეს, თქვა თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატმა, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა **დ. ნ. მოსესოვმა**, როცა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1976 წლის შედეგების შიხედვით ჩვენს რესპუბლიკას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა, მინდა ჩვენი უდიდესი მადლობა მოვახსენო მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ჩვენი შრომის დიდი შეფასებისათვის. ჩვენს რესპუბლიკაზე დიდი მამობრივი ზრუნვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საქალაქო კომიტეტის მესაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული [illegible] ორგანიზაციის ხელმძღვანელობა [illegible] ამოცანებს მიაღწია, რომელთა შედეგად მეოთხედ დაიმსახურა ასეთი მაღალი ჯილდო.

რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის თბილისის ამ წარმატებებში გარკვეული წვლილი მიუძღვის ჩვენს კოლექტივსაც — თბილისის ჩარხშენებლობის საწარმოო გაერთიანების კოლექტივს. 1976 წელს ჩვენმა კოლექტივმა კვლავ დიდ წარმატებებს მიაღწია, შეასრულა გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით.

პარტიული კომიტეტისა და მთელი კოლექტივის ყოველდღიურ საზრუნავად იქცა ბრძოლა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის. ჩვენ არ დავზოგავთ ძალებს, ცოდნას, გამოცდილებას, ოსტატობასა და ენერგიას, რათა ახალი, საოცეთესო შრომითი მაჩვენებლებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს, თქვა დასასრულ ორატორმა.

დღეს ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობა, — თქვა საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა **მ. ნ. ადეიშვილმა**, თავის ხმას უერთებს საქართველოს მშრომელთა ხმას, უსაზღვრო მადლობას უძღვნის მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ჩვენი რესპუბლიკისათვის, ახალგაზრდობისათვის ზრუნვის გამო. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა საქართველოს შრომითი მაჩვენებლების დიდი შეფასების გამო.

საქართველოს კომკავშირი, რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელიც ქართველი ხალხის სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია, დღეს განსაკუთრებით არის იდეურად შეიარაღებული და თავდადებით იბრძვის იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომლებიც მშობლიურმა პარტიამ დაუსახა ჩვენს ხალხს.

შემდეგ ორატორმა თქვა, რომ საქართველოს სტუდენტობას შეუძლია უფრო ფართოდ მოაზროვნოს ჩვენს სახალხო მეურნეობას თავისი ცოდნა და შემოქმედებითი ნიჭი, თავისი წვლილი შეიტანოს წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების დანერგვისათვის ბრძოლას.

ორ ათეულ წელზე მეტია ქართველი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ მესამე შრომითს სემესტრში და ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში. სტუდენტი ახალგაზრდობის იდეური სიმწიფის, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების დადასტურებაა მეათე ხუთწლედის პირველი წლის შრომითი სემესტრის შედეგები. შარშან ზაფხულში რესპუბლიკის 5450 სტუდენტმა 8 მილიონ 100 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გამოსვლებმა ნათლად ცხადყო, თუ საქართველოს მშრომელთა რა უდიდესი პატრიოტული აღმავლობა მოჰყვა იმ ამბავს, რომ პარტიამ და მთავრობამ დიდი შეფასება მისცეს მეათე ხუთწლედის პირველ წელს მათი აღმშენებლობითი შრომის შედეგებს.

კრების მონაწილეებმა გამოხატეს რა საქართველოს მთელი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის აზრები და გრძნობები, პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს აღუთქვეს, რომ არ დაიშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რათა დიდ ჯილდოს სამშობლოს სადიდებელი, კომუნიზმის იდეალების გასამარჯვებელი აღმშენებლობითი შრომის ახალი მიღწევებით უპასუხონ, წარმატებით განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები და მეათე ხუთწლედის დავალებები, ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. (საქინფორმი).

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს ამბები

საკვლევი და უცხოეთის პრესის საკვანძო ბიულეტენი

18 მარტი

ამხილებენ თვითნებობას

ჩილელი კომუნისტების წერილი

ნიუ-იორკი, (საკდესი). ჩილეს კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც იაბაკქვეშეთის ძნელ პირობებში მოქმედებს, ამერიკელ კომუნისტებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ამხილებს სამხედროფაშისტური ხუნტის თვითნებობის ახალ ფაქტებს. -ამ ბოლო დროს ჩილეში გახშირდა იმ პირთა უგზოუკვლოდ გაქრობა, რომლებიც დაკავშირებული არიან სახალხო ერთიანობის პარტიებთან, აღნიშნულია წერილში. ხელისუფალნი უგულებელყოფენ ნათესავების შეკითხვებს თავიანთი მახლობლების ბედის შესახებ, რეპრესიებით ემუქრებიან მათ. უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაში ამჟამად ირიცხება დაახლოებით 2500 კაცი. სულ ცოტა ხნის წინათ ამ სიის დამატება სანტიაგო არაიას, ედუარდო არიოოს, ხოსე მუნოსის, ედრას პინტოს და სხვა ჩილელ პატრიოტთა სახელები.

ცნობები ფარული რეპრესიების შესახებ, რომელთა მსხვერპლი შეიძლება მოეთავსებინათ რეჟიმის მიერ შექმნილ ფარულ საკონცენტრაციო ბანაკებში ან მოესპოთ კიდევაც, მიღებულ იქნა მომენტში, როცა ოფიციალური ვაშინგტონის მხარდაჭერით გამხნევებულმა ხუნტამ გააძლიერა „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ დევნა. ამ დღეებში მან კვლავ ექმნა თვის ვადით გაგრძელა საალყო წესები, რომელიც ხელისუფლებს „უფლებას აძლევს“ ბრალდების წაუყენებლად და სასამართლო ოდერების გარეშე აწარმოონ დაპატიმრება. ხუნტამ გამოსცა აგრეთვე დეკრეტი ყველა პოლიტიკური პარტიის აკრძალვის შესახებ.

საჯარო განცხადებების მიუხედავად

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი ჯ. კარტერს

ტოკიო. (საკდესი). იაპონიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კარტერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც კონკრეტული მაგალითებით, ცხადყო, რომ ამერიკის მთავრობის არაერთი საჯარო განცხადებისა და თვით პრეზიდენტის მოწოდებების მიუხედავად „პატივი სცეს ადამიანის უფლებებს“, აგრეთვე სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის დებულებების საწინააღმდეგო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალნი უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევის უამრავი აქტი, ნათქვამია წერილში. ამ ქვეყანაში რასობრივ დისკრიმინაციის განიცდიან ზანგები და სხვა ეთნიკური ჯგუფები, სასტიკად ახშობენ პუერტორიკოელთა ბრძოლას ეროვნული თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობისათვის. დისკრიმინაციისა და შევიწროვებას მიმართავენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიისა და სხვა პროგრესული ძალების წინააღმდეგ.

საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ამას დამაჯერებლად მოწმობს ჩილეს, სამხრეთ კორეისა და სხვა ქვეყნების მაგალითები, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს დიქტატორულ რეჟიმებს, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ დემოკრატიულ თავისუფლებებს,

იაპონია — ამერიკის სამხედრო კავშირის არსებობის განმავლობაში, აღნიშნავს შემდეგ იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა მრავალჯერ დაარღვიეს აგრეთვე იაპონელი ხალხის უფლებები. იაპონიის ტერიტორიის ბაზებიდან ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ხშირად სჩადიან მძიმე დანაშაულს, მაგრამ ბოროტმოქმედ ჯარისკაცებს ან სავსებით ამართლებენ, ან გაუსამართლებლად უმნიშვნელო სასჯელს ადებენ.

წერილში მოყვანილია იაპონიის კომპარტიის მიმართ დისკრიმინაციის მაგალითები. პარტიის დელეგაციებს და ცალკეულ წევრებს უარს ეუბნებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასასვლელ ვიზებზე.

სავსებით ცხადია, ნათქვამია შემდეგ წერილში, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ზემოაღნიშნული მოქმედება სრულიად ეწინააღმდეგება მის საჯარო განცხადებებს ადამიანის უფლებათა პატივისცემის შესახებ.

აფრიკაში მოგზაურობის წინ

ლონდონი, (საკდესი). აქ გამოაცხადეს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ოუენი აპრილის დამდეგს ათი დღით იმოგზაურებს სამხრეთ აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში. იგი ეწვევა, კერძოდ, ზამბიას, მოზამბიკს, ტანზანიას, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, სადაც, როგორც ფიქრობენ, შეხვდება როდეზიის რეჟიმის მეთაურს იან სმიტს.

ოფიციალურად მოგზაურობა წმინდა „გაცნობის“ ხასიათისაა. მაგრამ ადგილობრივი მიმომხილველნი მინისტრის მოგზაურობას უკავშირებენ ინგლის-ამერიკის ახალ ცდას გამოსახონ როდეზიის პრობლემის მოწესრიგების „გზები“. „ტაიმსი“ ხაზს უსვამს, რომ მოგზაურობის იდეა შეათანხმეს ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჯ. კალაგენისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის ამსწინანდელი მოლაპარაკების დროს ვაშინგტონში. „გარდიანი“ აღნიშნავს, რომ, სანამ აფრიკაში გაემგზავრებოდეს, დ. ოუენი ლონდონში შეხვდება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ს. ვენსს.

ლიბანი მდგომარეობა გამწვავდა

ბეირუთი. (საკდესი). თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის, ლიბანის პროგრესული სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ქამალ ჯუმბლათის მხეცურმა მკვლელობამ გაამწვავა ქვეყნის მდგომარეობა, რომელიც დაადგა მშვიდობისა და წესრიგის აღდგენის გზას ცხრამეტი თვის სამოქალაქო ომის შემდეგ.

როგორც „უკვე ვიუწყებოდით, ჯ. ჯუმბლათი მოკლეს 16 მარტს ნაშუადღევს 50 კილომეტრზე ბეირუთის სამხრეთ-აღმოსავლეთით. დახოცეს აგრეთვე მისი შოფერი და ჯუმბლათის თანმხლები შინაგანი უშიშროების ძალების თანამშრომელი. ოთხმა მკვლელმა მოასწრო ავტომობილით გაქცევა. მოგვიანებით იპოვეს ავტომანქანა, რომელშიც ნახეს სამი ავტომატი, პისტოლეტი, პორტატული რადიოსადგური, დურბინდი და დანები.

ჩადენილმა ბოროტმოქმედებამ გაამწვავა მდგომარეობა. ბეირუთის ცალკეულ ჭუჩებში კვლავ გამოჩნდა ბარიკადები და დაბრკოლებანი, ცაში ავარდა დამწვარი ავტომობილის სალტეების შავი კვამლი, ქუჩებში მოძრაობა შეწყდა და მცხოვრებლებმა თავი შეაფარეს სახლებს. სალამოთი, ღამით ქალაქში გაისმოდა ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების სროლის ხმა, აგრეთვე ქვემეზრების ფეთქვა სროლა. დილიდან ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა. ქუჩებში გაძლიერეს საკონტროლო საგუშაგოები, მიმდინარეობს ავტომანქანებისა და მგზავრების შემოწმება. საბრძოლო მზადყოფნაში არიან არაბულ სახელმწიფოთა ძალები.

მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომაზე რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. სარკისმა ლიბანელი ხალხის სახელით ღრმა სინანული გამოთქვა ჯ. ჯუმბლათის მკვლელობის გამო. მოისმინეს შინაგან საქმეთა მინისტრის ს. სალმანის ინფორმაცია მკვლელობის გარემოებისა და დანაშაულთა ძებნის და ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ. პრემიერ-მინისტრმა ს. ჰოსმა განაცხადა, რომ ლიბანის მთავრობამ მიიღო ზომები, რათა აღკვეთოს მკვლელობის ყოველგვარი შედეგი, რომელიც ხელს მისცემს ლიბანის მტრებს.

პროგრესული სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ ხალხს მოუწოდა შექმნილ პირობებში გამოიჩინოს მაქსიმალური პოლიტიკური სიფხიზლე, რათა არ დაუშვას შეთქმულები, რომლებსაც შეუძლიან გააუარესონ ქვეყნის სიტუაცია.

□

ძარცვავენ სასახლეებს

ჯაკარტა. (საკდესი). ინდონეზიის საზოგადოებრობა შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გაძლიერდა სპეკულაცია ხიძველის ნივთებით. ამ ბოლო დროს გახშირდა მუზეუმებისა და ყოფილი რაჯების სასახლეების გაძარცვა. სამხრეთ სულაველში ამას წინათ დაიკარგა... მე-12 საუკუნის სარკოფაგი. გაზეთები მოუწოდებენ მთავრობას გააძლიეროს სიძველის ძეგლთა და ისტორიულ ღირებულებათა დაცვის ღონისძიებანი. ბევრი ასეთი ძეგლი და ისტორიული ნივთები საერთაშორისო სპეკულანტებს გაეტანა საზღვარგარეთ.

ძარიკაკტურისტის კომენტარი

ხმიტის რასისტული რეჟიმი ახორციელებს „შინაური მოწესრიგების“ გეგმას. მისი არსი ის არის, რომ „სახელმწიფო“ საქმეებში ჩააბან ტოძების მოლალატე ბელადების ჯგუფი, გაასაღონ ისინი ხალხის წარმომადგენლებად და ამით კანონიერი სახე მასცენ როდეზიაში არსებულ წყობილებას. რასისტების მარიონეტთა საძრახის როლში გამოდიან ვინმე ჩირაუ და ნდიკენი (გაზეთ„ბიდან).

როდეზიელი კომედიანტი.
ბ. ლომიძის ნახატი.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ

ექვსკვირეული ცნობები

ტერორის ახალი ტალღა

● ლონდონი. ძალადობისა და ტერორის ახალმა ტალღამ მოიცვა ჩრდილოეთი ირლანდია. ბელფასტსა და დერში გუშინ კვლავ გაჩაღდა სროლა და ისმოდა ბომბების აფეთქების ხმა. ბელფასტში უცნობმა პირებმა მოკლეს ერთი მცხოვრები და სერიოზულად დაჭრეს 10 წლის ბიჭი. დერის ქუჩების პატრულირებას შეუდგა 300 რეზერვისტი ოლსტერის დაცვის პოლკიდან, რომელიც შექმნეს რამდენიმე ხნის წინათ დაწილი სპეციალური — ბ ძალების ქვეგანაყოფთა საფუძველზე. ეს ქვეგანაყოფები იმით იყვნენ ცნობილი, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკურ მოსახლეობას ბრძოლისტად სახტიკად ეპყრობოდნენ.

აფეთქება ქარხანაში

● ნიუ-იორკი. მძლავრმა აფეთქებებმა შეარყია კომპანია „ტექსაკოს“ ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა ქალაქ პორტ-არტურში (ტეხასის შტატი). ქარხნის შენობები ხანძარმა მოიცვა, რომლის წინააღმდეგ იბრძვის მეხანძრეთა მრავალი რაზმი. რამდენიმე ათეული მუშა დაშავდა. აფეთქების მიზეზი გაურკვეველია.

ავსტრალიის მოსახლეობა

● კანბერა. ავსტრალიის მოსახლეობა უშუალოდ მიუახლოვდა 14 მილიონიან მიჯნას. იგი შეადგენს 13.915.500 კაცს. ამას იუწყება სტატისტიკის ბიურო, რომელმაც გამოაქვეყნა მოსახლეობის აღწერის დაზუსტებული შედეგები. ეს აღწერა გასული წლის პირველ ნახევარში მოეწყო.

უმუშევრობა იზრდება

● პარიზი, 1976 წლის იანვრიდან 1977 წლის იანვრამდე უმუშევართა რიცხვი საფრანგეთში 14 პროცენტით გაიზარდა. და რეკორდულ ციფრს — მილიონნახევარ კაცს მიუახლოვდა. მიმდინარე წლის პირველი ორი თვის განმავლობაში ფრანგ უმუშევართა არმია კიდევ 4,6 პროცენტით გადიდდა. ქვეყნის ეკონომიკის წამყვან სექტორებში გრძელდება მახობრივი დათხოვნა.

მეტიწილი უმუშევარი

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — მომღერლები ა. რეზილოვა, ი. იაცენკო, ა. დუბინინი, დრიიორი ა. კალაბუხინი.

ა. ჩეპალოვის ფოტო.

სცენაზე პრიან უკრაინელი ოსტატები

უკრაინის სსრ ხელოვნების ოსტატთა გასტროლები — ეძღვნება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს — იუწყება ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის აფიშა. ხალხთა მეგობრობის ურთიერთკავშირის ამ შესანიშნავ ტრადიციის სიახლე, სიცოცხლის ხალისი და შემოქმედებითი სტიმულის განმტკიცება მოაქვს ყოველი თეატრის ცხოვრებაში. ასეა აქაც: 17 მარტიდან თბილისის საოპერო სცენაზე სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ ხარკოვის ნ. ლესინკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები: სსრკ სახალხო არტისტი ნ. მანოილო, უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტები ა. რეზილოვა და ა. დუბინინი, ოპერის ახალგაზრდა სოლისტი ი. იაცენკო, ბალეტის სოლისტები — ლ. ჩერეჩენი და ა. კუბინი, დირიჟორი უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. კალაბუხინი.

უძველესი მუსიკალური ტრადიციების მქონე ქალაქ ხარკოვთან თბილისის საოპერო თეატრს დიდი ხნის შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს. ჯერ კიდევ 1931 წელს ხარკოვის საოპერო თეატრის სცენაზე უკრაინულ ენაზე დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, პრემიერაზე II აქტს თვით ავტორმა უდირიჟორა, რომელსაც მაყურებელმა საზეიმო შეხვედრა მოუწყო. უფრო მოგვიანებით (1972 წ.) ამავე სცენაზე „დაისიც“ აუღერდა. პრემიერამდე სწორედ ჩვენი დღევანდელი სტუმრები იღებდნენ მონაწილეობას და ჩვენც ერთხელ კიდევ ინტერესით მოვუსმინეთ მათ ამჯერად უკვე თბილისურ სპექტაკლში 18 მარტს.

სსრკ სახალხო არტისტი ნიკოლაი მანოილო სამამულო ომის დაწყებამდე უკრაინის ერთ-ერთი პატარა სოფლის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი იყო. შემდეგ კი ომგადახდილს გულმა ხელოვნებისაკენ გაუწია და მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგია და საყვარული მის სამსახურს შეალია. ნ. მანოილომ 40-ზე მეტი მუსიკალურ-მხატვრული სახე შექმნა საოპერო სცენაზე. მისი მძლავრი, უალრესად ფერადოვანი ბარიტონი მომხიბლავად ჟღერს რიგოლეტოს, ტონიოს, დემონის, თავადი იგორის, ფიგაროს, კიაზოს პარტიებში, რომლითაც იგი დიდი მღელვარებითა და გამომსახველობით ასრულებს. განსაკუთრებით დიდია მისი ლვაწლი უკრაინული და თანამედროვე საბჭოთა მუსიკის პრომპაგანდის დარგში. მან გასტროლებით შემოიარა ამერიკა, კანადა, იტალია, სოციალისტური ქვეყნები. იგი თბილისში პირველად არ არის. კიაზოს გარდა სოლისტი იმღერებს დი-ლუნასა და ამონასროს პარტიებში. ანა რეზილოვას ოცნება, ბავშვობიდანვე იყო გამხდარიყო მსახიობი — მომღერალი. ჯერ კიდევ ხარკოვის კონსერვატორიის V კურსის სტუდენტი იგი ამავე ქალაქის საოპერო თეატრში ოპერა პიკის ქალში ლიზას პარტიის შესასრულებლად მიიწვიეს. დებიუტმა ბრწყინვალედ ჩაიარა. იგი სოლისტად ჩარიცხეს. ეს იყო 1961 წელს. ამის შემდეგ მისი შემოქმედებითი გალერია გამდიდრდა ურთულესი მუსიკალური სახეებით. აიდას, ტოსკას, ამელიას, ლეონორას, ნედას, ეან დაუმატა მაროს პარტია, რომელიც ადრე უკვე შესრულებული აქვს ჩვენს სცენაზე უკრაინული ხელოვნების დეკადის დროს თბილისში. იგი წარმატებით გამოდის სპექტაკლებითა და საკონცერტო პროგრამით საბჭოთა კავშირის უდიდეს ქალაქებში. ა. რეზილოვა თბილისში იმღერებს მაროს, ლეონორას და აიდას პარტიებს.

ანატოლი დუბინინი, სანამ ხელოვნებაში მოვიდოდა, შრომითი საქმიანობის დასაწყისში მექანიზატორი იყო. შემდეგ ორთქლმავლის მემანქანის კვალიფიკაცია მიიღო, მსახურობდა მესაზღვრეთა ნაწილებში, ხარკოვის მანქანათსაშენებელ ქარხანაში... ნამდვილი შრომითი ცხოვრება განვლო მომღერალმა, რამაც შემდგომში საშუალება მისცა ასეთივე რეალური, ცხოვრებისეული სახეები შეექმნა სცენაზე, თუმცა ადვილი როდი იყო ყოველივე ამის მიღწევა. მსახიობს ამაში დაეხმარა უდიდესი მიზანსწრაფულობა, შრომისმოყვარეობა და, რაც მთავარია, სრული დიაპაზონის, ლამაზი ტემბრის ხმა და სცენური ტალანტი. იგი განსაკუთრებით საინტერესოა დრამატულ პარტიებში. ესენია კანიო, რადამესი, ხოზე, კავარადოსი... გატაცებით მღერის იგი მალხაზის პარტიასაც, სადაც

სცენაზე პრიან უკრაინელი ოსტატები

რაში ოპერა პიკის ქალში ლიზას პარტიის შესასრულებლად მიიწვიეს. დებიუტმა ბრწყინვალედ ჩაიარა. იგი სოლისტად ჩარიცხეს. ეს იყო 1961 წელს. ამის შემდეგ მისი შემოქმედებითი გალერია გამდიდრდა ურთულესი მუსიკალური სახეებით. აიდას, ტოსკას, ამელიას, ლეონორას, ნედას, ეან დაუმატა მაროს პარტია, რომელიც ადრე უკვე შესრულებული აქვს ჩვენს სცენაზე უკრაინული ხელოვნების დეკადის დროს თბილისში. იგი წარმატებით გამოდის სპექტაკლებითა და საკონცერტო პროგრამით საბჭოთა კავშირის უდიდეს ქალაქებში. ა. რეზილოვა თბილისში იმღერებს მაროს, ლეონორას და აიდას პარტიებს.

ანატოლი დუბინინი, სანამ ხელოვნებაში მოვიდოდა, შრომითი საქმიანობის დასაწყისში მექანიზატორი იყო. შემდეგ ორთქლმავლის მემანქანის კვალიფიკაცია მიიღო, მსახურობდა მესაზღვრეთა ნაწილებში, ხარკოვის მანქანათსაშენებელ ქარხანაში... ნამდვილი შრომითი ცხოვრება განვლო მომღერალმა, რამაც შემდგომში საშუალება მისცა ასეთივე რეალური, ცხოვრებისეული სახეები შეექმნა სცენაზე, თუმცა ადვილი როდი იყო ყოველივე ამის მიღწევა. მსახიობს ამაში დაეხმარა უდიდესი მიზანსწრაფულობა, შრომისმოყვარეობა და, რაც მთავარია, სრული დიაპაზონის, ლამაზი ტემბრის ხმა და სცენური ტალანტი. იგი განსაკუთრებით საინტერესოა დრამატულ პარტიებში. ესენია კანიო, რადამესი, ხოზე, კავარადოსი... გატაცებით მღერის იგი მალხაზის პარტიასაც, სადაც

შეალებას აძლევს ერთნაირი წარმატებით გადმოგვცეს თავისი გმირების სულიერი სამყარო. რ. იაცენკო ვოკალისტთა რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატია. იგი ოპერისა და ბალეტის თეატრების შემოქმედებითი ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალის მონაწილეა მინსკში, გასტროლებს მართავს საბჭოთა კავშირის ქალაქებში. თბილისელები მას პირველად შეხვდებიან აზუჩენასა და ამნერისის პარტიებში. პრემიერადვე ახილავს ჩვენი მაყურებელი ბალეტის ახალგაზრდა სოლისტებს ლიუდმილა ჩერეჩენს და ალექსანდრ კუბინს. ისინი „დონ კიხოტსა“ და „გედის ტბაში“ შეასრულებენ წამყვან პარტიებს.

დირიჟორი ანატოლი კალაბუხინის შემოქმედება ორმოცდაათიანი წლებიდან იწყება ხარკოვის საოპერო თეატრში. რამდენი საინტერესო დადგმები და შეხვედრები ახსოვს მუსიკოსს, მათ შორის შეხვედრები ქართველ მომღერალ-დიდოსტატებთან: პეტრე და მედეა ამირანაშვილებთან; ზ. ანჯაფარიძესთან, ნ. ანდღულაძესთან, ლ. გოცირიძესთან... ერთი პერიოდი იგი ხარკოვის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი იყო და შემოქმედებითი კონტაქტები ჰქონდა ქართველ მუსიკოსებთან — ო. თაქთაქიშვილთან, მ. იაშვილთან და სხვებთან. ამჟამად ა. კალაბუხინი ხარკოვის საოპერო თეატრის მთავარი დირიჟორია. ამავე დროს ხარკოვის ხელოვნების ინსტიტუტის საოპერო პედაგოგიკის დოცენტი. თბილისელებს წინაშე იგი წარსდგება სპექტაკლებით „დაისი“, „ტრუბადური“, „აიდა“.

17 მარტს უკრაინელმა სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართულ საზეიმო კონცერტში, რომელიც საქართველოს რესპუბლიკისთვის საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას მიეძღვნა. ამავე დღეს საბალეტო წყვილი გამოვიდა ბალეტ „დონ კიხოტში“, 20 მარტს დილით მათ ვიხილავთ „გედის ტბაში“, უკრაინელი მომღერლები 19 მარტს მონაწილეობენ „ტრუბადურში“, 20 მარტს „აიდაში“. ვუსურვოთ წარმატებები ჩვენს მეგობრებს.

ნათელა სვანიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

ნორჩი დიპლომანტები... (თბილისის 55-ე საშუალო სკოლის პირველკლასელი თეა დუდუჩავა — მარცხნივ და 61-ე საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე ირმა ბუაძე), ბ. ბუგბუნიას ფოტო.

ბავშვები ჩვენს ირგვლივ

მოსწავლეები — საჭესთან

უაზბეკი. (საკ. კორ.). რამდენიმე წელიწადია, რაც სოფლის საშუალო სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეები ავტოსაქმეს სწავლობენ. მათ თეორიულ მეცადინეობას უტარებს ინჟინერი ჯ. ყამარაული. აქ სისტემატურად იყენებენ სასწავლო კინოფილმებს, მოყვარულ ავტომობილისტთა ხშირი სტუმარია საბჭოეთის ავტოინსპექტორი რ. მარსაგიშვილი. ავტომანქანის ტარების პრაქტიკულ მეცადინეობას ხელმძღვანელობს პირველი კლასის ავტომძღოლი ნ. ჩქარიული. მოსწავლეთა განკარგულებაშია ორი ავტომანქანა, წლეულს სკოლაში აშენდება კეთილმოწყობილი ავტოსადგომი და საზეინკლო სახელოსნო.

წერილი გამელეგს

ბათუმი. 28-ე საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებმა ბიკალ-ამურის ქართველ მშენებლებს წერილები და ამანათები გაუგზავნეს.

„მიიღეთ ჩვენი გულთბილი სალამი და კეთილი სურვილები მშობლიური საქართველოდან“, — სწერდნენ პატარები ნია გრუზინსკაიას მცხოვრებლებს.

ლ. გაგიდავა

ახალ გინაში

ცხაკაია. № 2 ბიბლიოთეკა ახალ კეთილმოწყობილ ბინაში გადავიდა, რომელსაც აქვს ნათელი სამკითხველო დარბაზი. ეკლე გამოყოფილია წიგნსაცავი და საბონენტო ოთახები.

ბიბლიოთეკამ უკვე მიიღო პირველი მკითხველები.

ტ. ხარებავა.

ავინდი

ბეშინ 13 საათზე შავი ზღვისპირა ზოგიერთ რაიონში წვიმდა, სიმთო 10-12 გრადუსი იყო. კოლხეთის დაბლობზე აღმოსავლეთის ძლიერი ქარი ქროდა; თერმომეტრი 14-16 გრადუსს სიმთოს უჩვენებდა. მთებში ზოგან წვიმდა, 4-6 გრადუსი სიმთო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში წვიმდა, დაბლობ რაიონებში 6-8, მთებში 4-6 გრადუსი სიმთო აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში, წვიმდა, თერმომეტრი 8 გრადუს სიმთოს უჩვენებდა.

დღეს აფხაზეთში მოსალოდნელია წვიმა, აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა — 8-13 გრადუსი; აჭარაში — ძლიერი წვიმა, მთებში თოვლი, იქროლებს სამხრეთ-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 6-11 გრადუსი; კოლხეთის დაბლობზე — წვიმა, აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა — 8-13 გრადუსი.

სამხრეთ ოსეთში მოსალოდნელია ნალექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 4-9 გრადუსი, ბორჯომის ხეობაში — ნალექი, ტემპერატურა — 2-7 გრადუსი, ქართლსა და კახეთში — წვიმა, ზოგან ნისლი, ტემპერატურა 5-10 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია წვიმა, ტემპერატურა — 8-10 გრადუსი სითბო.

ფელეტონი

ფერენც ჯიდვეგი,
(უნგრეთი)

აბა, რეგერ წაიკითხავს...

ბიუროკრატს შტამპი
უყვარს,
თუნდ არ იყოს საჭიროა!
უიმისოდ სული თვისი
რარიგ წარმოაჩინოს?!
არ მეგონა თუკი ამდენ
ფორმალობას ვნახავდი:
მოითხოვენ ბეჭდიანი
იყოს ყველა ქაღალდი.
დავქრი ყველა კაბინეტში,
დამცემია თავზარი! —
ყველგან შტამპი!.. შტამპი!..
შტამპი!..
აღარ უჩანს საზღვარი!
ეს სირბილი მთელი ყოფის
გზაზე გამიგრძელდება
და, უშტამოდ, ალბათ, პირის
პარსვაც გამიძნელდება!
მეგობრებო, რომ იტყვიან,
უფალმა გვყოს დღეგრძელი!..
მაგრამ, ბოლოს, თუ
სიკვდილიც
უშტამპოდ ვერ შევძელითო?!
ბიუროკრატს შევებრძოლე
მთელი ჩემი არსებით,
დასათრგუნად ფელეტონი
საკმაოა სავსებით!
თუმცა, ეჭვი მეპარება,
გავუსწორდე პარაზიტს, —
აბა, როგორ წაიკითხავს,
მას ხომ შტამპი არ აზია?!

თარგმნა **შ. ამირანაშვილმა.**

საქართველოს დარგაზედან

გრაკონიერი დაისაჯა

ბმბრულაური. (საკ. კორ.). საქარგებლო ნადირ-ფრინველის დაცვა და გამოყენება ჩვენში დიდ სახელმწიფოებრივ, საზალხო საქმედ არის გამოცხადებული, მაგრამ ზოგიერთი უსულგულო ბოქაულიც ამას ყურად არ იღებს... ერთ-ერთი ასეთთაგანია ტყეშელი რამაზ თეარაძე, რომელის გასროლამა ტყვიამ სიცოცხლეს გამოსალმა სოფლის ხოდაბუნებში შემოჩეული არჩვი.

ბრაკონიერს დანამაულზე წაასწრეს. სახალხო სასამართლომ იგი 110 მანეთით დაჯარიმა და სახადირო თოფიც ჩამოართვა.

ვ. ციბერაძე.

□ 21 მარტი

10.00 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში.
10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვეხისის პოლონეზი“,
10.55 — სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის გახსნის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან,
17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ბიოლოგია,
17.50 — ბავშვებისათვის — „ჯადოსნური სალებავი“. ფერადი გამოსახულებით,
18.20 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა,
18.40 — მხატვრული ფილმი — „შეჩერება სამი საათით“,
20.00 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.10 — „დიალოგი მწერალთან“. სტუდიაში — გრ. აბაშიძე და გ. ასათიანი. ფერადი გამოსახულებით,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან). დასასრულ — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

□ 22 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან,
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მხატვრული ფილმი „გიყვარდეს ადამიანი“. I სერია. ფერადი გამოსახულებით,
17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა,
17.50 — კინოხარკვევი — „ჩამობრძანდი პიატიგორსკში“. ფერადი გამოსახულებით,
18.00 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა,
18.30 — განცხადებები,
18.35 — ციკლიდან „განვახორციელოთ სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებანი“ — „მასალატევადობის შემცირება — რეზერვი, სტიმული“,
18.50 — „რუსთაველის პრემიის ლაურეატები“ — ჯანსუღ კახიძე. გამოერებით,
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „სიხათლე ჩვენს ფანჯრებში“,
21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — ალმანახი „პოეზია“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
23.35 — „სპორტული მიმოხილვა“.

□ 23 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მეშვიდეკლასელთათვის — ფიზიკა,
11.00 — მხატვრული ფილმი — „გიყვარდეს ადამიანი“ (II სერია) ფერადი გამოსახულებით,
17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა,
17.45 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა,
18.15 — მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი“,
19.00 — „ჩვენი სამკითხველო დარბაზი“,
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — „საერთაშორისო დღიური“,
21.30 — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“. ფერადი გამოსახულებით,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“ მხატვრული ფილმი „ერთადერთი“. ფერადი გამოსახულებით.

□ 24 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — მხატვრული ფილმი „მსახიობი ქალი“,
11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ალი შოგენცუკოვი“,
17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა,
17.45 — „ცეროდენას ეკრანი“,
18.05 — განცხადებები,
18.10 — კონცერტი — საბავშვო მუსიკის კვირეულის გახსნის გამო. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.00 — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის“ — აჭარის პირველი, სოციალისტური...“,
19.30 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“,
19.45 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.45 — „მომზმარებლის სამსჯავროზე“,
21.25 — „ვერნისაჟი“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — კონცერტი — სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის დელეგატებისა და სტუმრებისათვის. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

□ 25 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — დოკუმენტური ფილმი „შესავალი“,
17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქიმია,
17.45 — განცხადებები,
17.50 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა,
18.20 — კინონარკვევი — ხორტიცა“,
18.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფრანგული ენა,
19.00 — „ვეფხვისტყაოსნის — „ვეფხვისტყაოსანი“ — ამბობენ ადამიანები“. ფერადი გამოსახულებით,
19.30 — „ახალი დროის გუთნისდედები“,
19.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რაზმატ-ატას ასი გაზაფხული“,
20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — „ტრადიცია და თანამედროვეობა“,
21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია — 1937 წელი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „კინოპანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

□ 26 მარტი

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.30 — „ხელმარჯვე ოსტატები“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — მუსიკალური პროგრამა — „დილის ფოსტა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.00 — „შევისწავლოთ ქართული ენა“,
12.45 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმები „აქატის ბურთულა“; „მყავს მეგობარი“,
13.35 — მაყურებლის პრიზი გამარჯვებულ ქართულ სატელევიზიო ფილმებს,
14.15 — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისთვის“ — დოკუმენტური ფილმი „მომავალი დღეს იბადება“ (ქართულ ენაზე),
14.45 — დოკუმენტური ფილმი „ვერცხლის ლიანდაგი“,
15.05 — „თბილისი და თბილელები“ — სატელევიზიო ჟურნალი,
15.45 — მულტიპლიკაციური ფილმი,
15.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
16.40 — „დეპუტატი და ცხოვრება“,
17.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.30 — კინონარკვევი „სივაში“. ფერადი გამოსახულებით,
17.40 — „დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის“, „ქართული საფეიერო მრეწველობის პირმშო“,
18.00 — „ცხოველთა სამყაროში“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.00 — „პოეზია“ — ანა კალანდაძე. ფერადი გამოსახულებით,
19.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
19.55 — „მთელი გულით“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — კინოლექტორიუმი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ

19 მარტი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალიშვილების სიმდერა“, 11.00 — „თქვენთვის მშობლებო“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური პროგრამა — „დილის ფოსტა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „შვეისწავლოთ ქართული ენა“, 12.45 — დოკუმენტური ფილმი „პორტუგალიის განთიადი“ (ქართულ ენაზე), 13.35 — საბავშვო მხატვრული კინოპროგრამა: მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაქმურობა“; 2. მხატვრული ფილმი „ბაბუა, კილიანი და მე“, 15.20 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.50 — „ბავშვურთხილდეთ ერთნეულ საუნჯეს „ნოქალაქვეი“ (გამეორება), 16.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — მოსწავლეთათვის — „ჯანმრთელობა და ხუთიანი“, 17.45 — უფროსკლასელთათვის — „რა უნდა ვიცოდეთ თეატრის შესახებ“. ფერადი გამოსახულებით (განმეორებით), 18.35 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი“, 19.10 — „კონცერტი, 19.30 — „მსოფლიოს ნამარხი ქალაქი-მუზეუმები“. ფერადი გამოსახულებით, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „გამთთვლილი ბედნიერება“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ესტრადა და თანამედროვეობა... (გადაცემა მეხუთე),

მეორე პროგრამით

17.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე — სატელევიზიო სპექტაკლი „რამაიანა“. ფერადი გამოსახულებით, 19.15 — კონცერტი, 20.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მათ ოკეანეები ელიან“, 20.30 — მხატვრული ფილმი „გიყვარდეს ადამიანი“. პირველი სერია. ფერადი გამოსახულებით.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

19 მარტი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲗᲠᲣᲑᲐᲓᲣᲠᲘ;** შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲛᲖᲔ ᲜᲘᲙᲝᲠᲩᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ** (ზესტაფონელ სახალხო თეატრის წარმოდგენა); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲣᲠᲘᲔᲚ ᲐᲙᲘᲚᲘᲡ;** ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲙᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ;** მინიატურების სახელმწიფო — **ᲨᲝᲗᲐ ᲡᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘ;** ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — **ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲫᲠᲝᲜᲘᲙᲐ.**

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ — **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ**

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-93, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პიონერთა — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66443 — ᲣᲔ 07618

საკ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის კ. 14